გიორგი ლეონიძე ,,ჩვენი ჭერამი“

I იორზე, ვენახში, დიდი ჭერამი გვედგა, - შებუთქული, დახუნძლული.

II თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი. მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამირხევია. თითქოს ნაწყენი ვიყავი ამ ხეზე, გვერდით გავუვლიდი, ზედ არ შევხედავდი. მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა. არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამიხარდა. გულში მაქვს ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რად მოვიძულებდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს?

III მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენს ივრის ვენახებზე გადიოდა. მალე დაიწყო ჯოჯოხეთური მუშაობა. მექანიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სალიანდოგო სათხრელ მიწას. დიდძალი მუშა ტრიალებდა: ქართველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ივრის მწვანე ჭაობნარი საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდა ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწვავდა თონის ალმურივით. მუშას სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე ივრის გარდა. ავად ხდებოდნენ იქვე მიწაზე ეყარნენ. პატრონი ვინ იყო? ზემდგომები უყვიროდნენ, აგინებდნენ, ხოლო ქედწახრილი მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ ბრძანებას. მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო, ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!

IV უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არცერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოძლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლებოდა თავაზა? და აი, თითქოს მიწიდან ამოცვივდნენ ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თვითეული ხე ძალითა თუ ნებით შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გაეყიდათ მუშებზე.

LIVEWORKSHEETS

V ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად. ხეხილის მსხმოიარობით გახარებული საწყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასხმულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონდებოდა სასტიკი სიტყვა „გაყიდულია“. ქურდულად მიიხედ-მოიხედავს ბავშვი, - მერე რა მსხალია?! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, თან ყურში ჩაესმოდათ ის სიტყვები, ვაჭარმა რომ დაავედრა მათ მამებს ათშაურიანის მიცემისას: „აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს შენ გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ“.

VI შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები, ახლა კი მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის მოკვეთილი აღმოჩნდა. ამ მოულოდნელმა რისხვამ დაგვამუნχა. მეტად მოულოდნელი და შემზარავი იყო. გულზე χანღად დაგვედო.

VII მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი? ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ხოლმე ჩვენს ვენახში ჭერმის საჭმელად. და აი, ერთ კვირა დილას ჩავცვივდით იორზე - მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული. მაგრა იცით რა მოხდა?! შორიდანვე დავინახე, ჩვენს ჭერამთან იდგა ვაჭარი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს. თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო. გადმომცა სამი ვერცხლის აბაზიანი, შენი საყვარელი წიგნები იყიდეო.

VIII მართლაც ვიყიდე ორიოდე წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერნიც. აი, რა მიზეზი იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში. იგი სასტიკად მოექცა ჩემს უდარდელ ბავშვობას, მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.

შემოხაზეთ სწორი პასუხები, ან წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

1. **II აბზაცის მიხედვით, რომელია მართებული?**

ა) ჭერამზე ბიჭი საერთოდ არ ასულა;

ბ) ბიჭმა ჭერამი უმიზეზოდ მოიძულა;

გ) ბიჭს ჭერამი ისე უყვარდა, რომ მასზე ასვლას ვერ ბედავდა;

დ) ჭერმის მიმართ დამოკიდებულება რაღაც მიზეზის გამო შეიცვალა .

2. **რომელია III აბზაცის სწორი დასათაურება?**

ა) რკინიგზის გაყვანა;

ბ) ივრის ჭაობები;

გ) მუშების იმედი;

დ) უფასო ხილი.

LIVEWORKSHEETS

3. **როგორ აფასებს ავტორი ვაჭრების საქციელს?**

ა) ხალიასიან ბიზნესად;

ბ) სხვისი გასაჭირით სარგებლობად;

გ) პატიოსან საქმიანობად;

დ) თავაზიან ქმედებად.

4. **რატომ არ იპარავდნენ ბავშვები აკრძალულ ხილს?**

ა) მამებს უფრთხილდებოდნენ;

ბ) ვაჭრის სიტყვები ახსენდებოდათ;

გ) დიდედების დარიგებები ახსენდებოდათ;

დ) სამივე ჩამოთვლილი ვარიანტი.

5. **როგორ იმოქმედა ბავშვებზე აკრძალვამ?**

ა) ხილის აკრძალვის მწუხარებამ დაამუნჯა ისინი;

ბ) არც კი განუცდიათ;

გ) გაბრაზდნენ თავიანთ მშობლებზე;

დ) ხილის ჭამა შესძულდათ.

6. **ტექსტის მიხედვით, რატომ გაუყიდა ბიჭს დედამ ჭერამი?**

ა) მისი დასჯა სურდა;

ბ) ჭერამი ნაყოფს აღარ ისხამდა;

გ) არ სურდა თავის შვილს ვინმეზე მეტად ეგრძნო თავი;

დ) გაბრაზდა, ბავშვებს რომ აჭმევდა ბიჭი ჭერამს.

7. **როგორ შეიცვალა ბიჭის ჭერმის მიმართ დამოკიდებულება?**

ა) სინანული - მწუხარებით;

ბ) სიყვარული - ზიზღით;

გ) იმედგაცრუება - ნდობით;

დ) სიუცხოვე -შეჩვევით .

LIVEWORKSHEETS

9. **ტექსტის მიხედვით, ასე ძლიერ რატომ იმოქმედა ავტორზე ჭერმის ამბავმა?**

ა) ბავშვობის შესახებ ერთადერთი ცუდი მოგონება იყო;

ბ) ვერ აიტანა საკუთრების გასხვისება;

გ) ამ ამბავმა დაარღვია უზრუნველი ცხოვრების რიტმი;

დ) ვაჭრები მანამდეც სძულდა;

10. **რა შეიძლება იყოს ტექსტის მთავარი სათქმელი?**

ა) ვაჭრები არაპატიოსანი ხალხია;

ბ) ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილება, განცდა დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე;

გ) ხილი ბავშვებისთვის აუცილებელია;

დ) ხილის ქურდობა დანაშაულია.

(11) შეასრულეთ მითითებული დავალებები

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით:

1. სიტყვა **თათარას** სინონიმი:

ბებომ ..... მოადუღა

2. სიტყვა **ცულის** სინონიმი

კაცმა დათვს ..... თავში ჩაარტყა

3. სიტყვა **თუთას** სინონიმი

ჩვენს ეზოში ..... ამოსულიყო;

4. სიტყვა **მთის** ანტონიმი

ჩემი ბიძაშილები ..... ცხოვრობენ.

LIVEWORKSHEETS

(12)იპოვეთ უმართებულო სიტყვები წინადადებებიდან და ამოწერეთ სწორი ფორმი

1. სანაპიროზე ოქროსფერი სილები დაყარეს

2. ბიჭი ზღვის ღელვებს თვალს ადევნებდა

3. პორტში ტვირთის გადაზიდვები დაიწყო

(13) მრავალწერტილის ადგილას ჩაწერეთ ფრჩხილებში ჩასმული სახელების სათანადო ბრუნვის ფორმა:

1. მთელი ამ ..... (ხანი) განმავლობაში ბიძია სევა მხოლოდ ტელეფონით თუ დაგელაპარაკებოდა.
2. წასვლის წინ მთელი განჯინები მიჩხრიკ-მოჩხრიკა, რომ იქნებ რაიმე ..... (საგზალი) ჩასადები ეპოვა.
3. ლამაზი ..... (ფრინველი) მოხიბლულ მაიმუნს ქალი წამსვე დაავიწყდა და ..... (ხოხობი) დაედევნა.

14. განმარტეთ ფრაზეოლოგიზმები:

<u>გული გაუსივდა:</u>

ა) დაიბოღმა;

ბ) გაუხარდა;

გ) ესიამოვნა.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

ა) ხელი მოითბო;

ბ) ხელი შეუშალა

გ) ხელი მოეცარა.

თმა ყალყზე დაუდგა

ა) შეშინდა;

ბ)მეტისმეტად გაბრაზდა;

გ) ადვილად მოტყუვდა.

LIVEWORKSHEETS

15. წაიკითხეთ მოცემული ნაწყვეტები, იპოვეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები და ამოწერეთ სწორი ფორმით:

1. ქართველებზე ბევრათ მეტნი იყვნენ ქვეყანის მტრები.

2. გიორგი ბრწყინვალეს 14-ე საუკუნეში ყველაზე უჭკვიანეს მეფედ ასახელებდნენ.

3. ლევანიმ მეგობრისგან საინტერესო ამბავები მოისმინა მასწავლებლების შესახებ.

LIVEWORKSHEETS